# საქართველო

№ 18 (45) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 2 მაისი 1943 წ.


# პირველი მაისი

პირველი მაისი, გაზაფხულის ეს მორიგი დღესასწაული ქართველი ხალხის ნაციონალური ზეიმის დღე იყო. გაზაფხულის წარმტაც მიდამოში, ზურმუხტოვან ტყეებში, ბაღჩებში, ქალაქგარეთ იკრიბებოდა საზეიმოდ მორთული ქართველი ხალხი. ზურნითა და სიმღერით, ჭირნახულითა და სოფლის დოვლათით მოდიოდნენ გლეხები ქალაქში—რათა მოძმე მუშებთან, ხელოსნებთან ერთად ედღესასწაულათ პირველი მაისი.

ქალაქის გარედ საზეიმოდ დანიშნულ ვრცელ მოედანზე ეწყობოდა დოღი, ვაჟკაცი ცხენოსნები აჩვენებდნენ ჯირითს, ისვროდნენ თოფებს, იმართებოდა ჭიდაობა, ჟღერდა მუსიკა, გაისმოდა ქართული ვაჟკაცური სიმღერები—ილხენდა ქართველი ხალხი, გამოჰხატავდა თავის ნაციონალურ სიამაყეს, ქართულ მხნეობას, ეროვნულ აღტინებას.

სხვა დღესასწაულებთან ერთად პირველი მაისი ჩვენი ხალხის ეროვნული დღესასწაული იყო. ამ დღეს არამარტო ზეიმობდა ხალხი, არამედ გამოჰხატავდა ერთსულოვნებას სამშობლოსადმი, ერთგულობას პატიოსანი შრომისადმი. მაშინ ჩვენს დედაქალაქში ფრიალებდა ჩვენი საყვარელი შვინდისფერი ეროვნული დროშა, ამ დროშის ირგვლივ იკრიბებოდა ჩვენი ხალხი, მამულის გულმხურვალე სიყვარულის გრძნობით, ტრადიციული პატრიოტული სულით.

ბოლშევიკებმა, ქართველი ხალხის ბედნიერი ეროვნული ცხოვრებისა და ნაციონალური ყოფის ამ გამათახსირებლებმა, პირველ მაისს სახალხო დღესასწაულს წაართვეს თავისი ღირსება, სილამაზე, შინაარსი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე პირველი მაისის დღესასწაულმა დაჰკარგა თავისი ნაციონალური სახე, ბოლშევიკებმა იგი გამოაცხადეს კლასობრივ დღესასწაულად, მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღედ.

ათასეულობით ლოზუნგები, ბოლშევიკური მყვირალა ტრანსპარანტები, დროშები, მიტინგები — ემსახურებოდნენ ერთ საქმეს: ლურსმნით ჩაეჭედათ ხალხის თავში კლასობრივი ბრძოლის შეგნება, მოეწამლათ მისი ჯანსაღი ნაციონალური ფიქრი მარქსიზმის ბანგით. ინტერნაციონალიზმის შხამით. გაზეთების ფურცლებზე დიმიტროვებისა, თუ გაიძვერა იაროსლავსკი - გუბელმანების ხელით იწერებოდა კომინტერნის მოწოდებები, რომლებიც მიუთითებდნენ ჩვენს ხალხს მსოფლიო რევოლუციისაკენ. საპირველმაისო ლოზუნგებში ბოლშევიკები გადმოისროდენ ცინიკურ სიტყვებს საბჭოთა-ხალხის „საამურ ცხოვრებაზე“, „ბედნიერ საკოლმეურნე შრომაზე“. ქალაქებში ბოლშევიკები აწყობდნენ დემონსტრაციებს რათა გამოეხატათ ერთგულება „გენიალური“ სტალინისადმი, კოლმეურნე გლეხებს ძალით მოერეკებოდნენ ქალაქისაკენ, მოჰქონდათ ურმით ჭირნახული, და გაჰყვიროდნენ სოფლის სიუხვეზე, სოციალისტურ შრომის ბარაქაზე.

ამას სჩადიოდნენ ბოლშევიკები მაშინ, როცა გლეხს წაართვეს მიწა, დაურღვიეს მყუდრო ოჯახი, გაუნადგურეს საქონელი, გადააქციეს კოლმეურნეობის მონად, სტახანოვური მუშაობის მეთოდით ასახიჩრებდნენ მუშებს, ათასეულობით ხვრეტდნენ ჩვენი ხალხის ინტელიგენციის მოწინავე ადამიანებს...

მწარე სინამდვილემ აჩვენა ხალხს ბოლშევიზმის რაობა. დღეს ქართველი ხალხის წინაშე მთელი სიცხადითაა ნიღაბახდილი ბოლშევიზმი. გაიძვერა ბოლშევიკებს აღარ შესწევთ ძალა კვლავ მოატყონ ჩვენი ხალხი. ხალხმა მონახა სიმართლის გზა...

ჩვენ, ქართველ ლეგიონერებს, სამშობლოს გარეთ გვიხდება სამაისო ზეიმი. დიდი ნაციონალური დროშის ქვეშ დარაზმული გერმანელი ხალხი ამ დღეს კვლავ გამოჰხატავს თავის რკინისებური ერთიანობისა და თავდადების გრძნობას ბელადისადმი, ადოლფ ჰიტლერისადმი, გმირი გერმანელი ჯარისკაცისადმი, რომელიც რაინდულად იბრძვის გერმანელი ხალხის, მთელი ევროპის ხალხების და მათი კულტურის დაცვისათვის ბოლშევიზმისაგან.

ძმებო ლეგიონერებო! პირველი მაისის ზეიმის დღეს — ჩვენი მოწოდებაა— კიდევ უფრო შევაჭიდროვოთ ჩვენი მებრძოლი რიგები, აღვინთოთ ტრადიციული პატრიოტული ცეცხლით სამშობლოს სიყვარულით, ეროვნული გამანთავისუფლებელი ბრძოლის სულით.!

ბოლომდე ერთგული ვიყოთ ჩვენი ეროვნული დროშისა!..



ლამანშთან. გერმანიის არტილერიის ერთ-ერთი სიმაგრე.

## ირანის ჯარისკაცებს არსურთ ომი

როგორც ცნობილია, ინგლისელები აიძულებენ ირანის მთავრობას ომი გამოუცხადოს ღერძის სახელმწიფოებს, მაგრამ ინგლისელების იძულებითი ზომები ირანელი ჯარისკაცებისადმი, რათა უკანასკნელთ ებრძოლათ უშედეგო აღმოჩნდა. ირანელები ყოველმხრივ ცდილობენ გაექცნენ მობილიზაციას. ქაბულიდან მიღებული ცნობებით, ავღანისტანის მთავრობამ ქვეყნის დასავლეთ პროვინციებში თავი მოუყარა მსხვილ სამხედრო ძალებს, რათა ირანელ პარტიზანებს, აგრეთვე რეგულარულ ნაწილებს, რომლებიც გაურბიან ომში მონაწილეობას, თავიანთი მტრების — ინგლისელების ინტერესებისათვის, საშუალება არ მისცენ გადმოვიდნენ ავღანისტანის ტერიტორიაზე.

## ჩაძირულია ამერიკის გემი „რენჟერი“

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდობის საექტერნო ცნობით 26 აპრილს გერმანიის წყალქვეშა ნავმა კაპიტან-ლეიტენანტის ფონ ბიულოვის მეთაურობით ატლანტიის ოკეანის შუა ნაწილში ჩასძირა ამერიკის თვითმფრინავთ საზიდი გემი „რენდჟერე“, რომელიც ასრულებდა საზღვაო გზათა დაცვის სამსახურს.

ადოლფ ჰიტლერმა კაპიტან-ლეიტენანტი ფონ ბიულოვი დააჯილდოვა რაინდული ხარისხის რკინის ჯვრის ორდენით მუხის ფოთლებით.

გერმანიის ეს მიღწევა წარმოადგენს ამერიკის ფლოტისთვის დიდ მარცხს. „რენდჟერი“ წარმოადგენს ამ სახის მეშვიდე გემს, რომელიც ჩაძირული იქნა ომის დაწყებიდან დღემდე ღერძის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ. „რენდჟერის“ წყალწყვა 14 500 ტონაა, მისი სიგრძე უდრის 222 მეტრს, სიგანე 24,4 მეტრს. მშვიდობიანობის დროს „რენდჟერზე“ იმყოფებოდა 72 თვითმფრინავი. ომის დროს კი —120 თვითმფრინავი.

## სტალინის ახალი ტიტული

**სტალინი ერთხელ კიდევ შეაშფოთა იმ გარემოებამ, რომ მას არა საკმარისად აქებენ. ახლა მას არ ყოფნის ტიტული საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გენერალური მდივნისა, წითელი არმიის მარშალის, უმაღლესი მთავარსარდლისა და სხვა და სხვა.**

**ამ დღეებში მან მიინიჭა კიდევ ერთი ტიტული — საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლისა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი ტიტული დარჩა შემდეგში კიდევ მისანიჭებლად „ხალხთა დიდ ბელადს“?**





აღმოსავლეთის ფრონტზე. მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: ფრონტის მახლობელ ზურგში, მიუხედავად ცუდი გზებისა, დაუბრკოლებლად მოძრაობს გერმანელთა ავტო -ტრანსპორტი. მ ა რ ც ხ ნ ი ვ: გერმანიის არმიის ჯავშნოსანი- მოტორიზებული ნაწილები დონეცთან

# ეს არის ბოლშევიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კატინის ტყის საშინელება

კატინის ტყის მახლობლად აღმოჩენილი, ბოლშევიკების მიერ მხეცურად მოკლული პოლონელი ოფიცრების საფლავი წარმოადგენს ამზზრენ სანახაობას. ძნელია იმ საშინელების გადმოცემა, რომელსაც ამ საფლავის მნახველი განიცდის. სტალინის ჯალათების სისხლიანი და ვერაგული საქმე მზის სინათლეზეა გამოტანილი. ადგილობრივ მკვიდრთა ჩვენებებით ირკვევა, რომ სისხლის ღვრის ორგანიზატორნი იყვნენ ებრაელი, შინსახკომელი აგენტები. მკვლელობის ხელმძღვანელობა კომისარიატის მიერ დაკისრებული ჰქონდათ ცნობილ ჯალათებს ებრაელებს ლვა რიბაკს, ხაიმ ფინბერგს, აბრამ ბორისოვიჩს და პავლე ბოროდინსკის.

მოსახლეობის განმარტებით პოლონელი ოფიცრების ერთი დიდი ჯგუფი 10 ათასი—12 ათასი კაცი ერთი მესამედი მთელი პოლონელი ოფიცრების კონტინგენტისა გამოყოფილი იქნა პოლონელ ტყვეთა ბანაკიდან, რომელიც 60 ათას კაცს უდრიდა და იმყოფებოდა კოზელსკასთან მოსკოვის ახლოს. აქედან ოფიცრები გაგზავნეს სადგურ გნეზდოვოთი კატინის ტყეში, სადაც შინსახკომის აგენტებმა ჩაატარეს თავიანთი სისხლიანი ეგზეკუცია, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ნახული მხეცური მკვლელობა და სისხლის ღვრა. საფლავების ძიება კვლავ გრძელდება, იგი კიდევ აღმოაჩენს ბოლშევიკების საშინელი მხეცობისა და ვერაგობის აღმაშფოთებელ ფაქტებს.

## სისხლისმსმელთა პოლემიკა

20 აპრილს საბჭოთა დეპეშათა სააგენტო გამოვიდა მორიგი პროვოკატორული ცნობით. ბოლშევიკები აღშფოთებულნი არიან და რისხვას უგზავნიან პოლონეთის მთავრობას, ბატონ სიკორსკის პოლონელი ხალხის სისხლითა და ხორცის მოვაჭრის სითავხედით. ფაქტია ის გარემოება, რომ ბოლშევიკების მიერ კატინის ტყესთან ჩადენილმა უმაგალითო მხეცობამ სიკორსკის მარიონეტულ მთავრობასაც კი ამოაღებინა ხმა.

ბოლშევიკები გულისწყრომას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ სიკორსკიმ გაბედა ეთქვა, რომ 1941 წლის ოქტომბერში პირადად სტალინმა განუცხადა მას, რომ ტყვე პოლონელი ოფიცრები განთავისუფლებულნი არიან ტყვეობიდან. სიკორსკიმ აღნიშნა შეუსაბამობა სტალინის დაპირებასა და კატინის საშინელებათა შორის, მაგრამ პოლონელი ხალხის სისხლით მოვაჭრემ ინგლისის კონტრ-დაზვერვის ფულით გასუქებულმა სიკორსკიმ ვერ გამოიჩინა იმოდენა გამბედაობა და სისხლის ღვრის ორგანიზატორები იყვნენ ბოლშევიკები. სიკორსკიმ აღნიშნა, რომ საჭიროა ამ საქმის გამოძიება საერთაშორისო წითელი ჯვრის მიერ. ყველაფერი ეს საკმარისი იყო ბოლშევიკებისათვის და ებრაელი ჯალათებისთვის აეტეხათ პროვოკატორული ყვირილი. დღეს მთელ პროგრესიულ კაცობრიობისათვის ნათელია ბოლშევიკების ვერაგობა. 12 ათასი პოლონელი ჯარისკაცის დახვრეტა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია შინსახკომის ჯალათების სისხლიანი საქმეებისა.



უცხოელი ჟურნალისტები კატინის ტყესთან —ერთ-ერთი საფლავის გათხრის დროს.

## სოფიევკაში

პოლონელმა ხალხმა და საერთაშორისო წითელმა ჯვარმა კარგად იციან, რომ საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის ტერიტორიის აღების შემდეგ ტყვედ იქნა წაყვანილი პოლონეთის არმიის 50-60 ათასი ოფიცერი. ისინი იმყოფებოდნენ სხვა და სხვა ბანაკებში. პირველ ხანებში მათთან მიწერ-მოწერა სწარმოებდა. 1940 წლის სპრილში კი იგი სრულიად შესწყდა. ნათესავებისათვის საიდუმლებით იყო მოცული პოლონეთი ოფიცრების სიცოცხლე. ეს საიდუმლება გამოაშკარავებული იქნა გერმანიის სამხედრო ხელისუფლების მიერ.

სმოლენსკიდან 20 კილომეტრზე მდებარეობს სოფელი სოფიევკა. აქვეა რკინისგზის სადგური. სადგურის ახლოს არის ხშირი ტყე, ტყის შემდეგ დნეპრის სანაპიროებზე გაშენებული იყო შინსახკომის მუშაკთა დასასვენებელი სახლი. ეს ტყე მოსახლეობისათვის ცნობილია დოგოდც ადგილი, სადაც ბოლშევიკები მასობრივარ ხვრეტდნენ ხალხს. მოსახლეობის გადმოცემით სოფიევკაზე რონოდნებით მოჰყავდათ ოფიცრები. 50 ხმებმა მიაღწიეს გერმანიის სამხედრო ხელისუფალთა ყურამდე, რომლებიც იმყოფებოდნენ ამ მიდამოებში. მათ აწარმოეს დეკითხვები. ერთ-ერთმა რკინიგზელმა განაცხადა, რომ მან თვით ნახა 200-მდე რონოდა, თვითეულში იყო 60-მდე ტყვე პოლონელ ოფიცერი.

დაიწყო გათხრები. 1,5 მეტრის სიღრმეზე გერმანელები წააწყდნენ პირველ გვამებს. რაც უფრო სიღრმეში მიდიოდენნ, მით უფრო მეტი რაოდენობის იყო გვამები. კვლევა ძიება ახლაც სწარმოებს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით უკვე გამორკვეულია 150 ოფიცერის ვინაობა. გერმანელთა სამხედრო ექიმთა და სპეციალისტთა კომისიას მეთაურობს ბრესლავლის ცნობილი პროფესორი ბუტცი.

დათვალიერებიდან ნათელია, რომ პოლონელი ოფიცრები დახვრეტილნი არიან თხრილებშივე, გვამები ეყარენ თავდაღმა. თვითეული მათგანი მოკლულია რევოლვერით — კეფაში.

ეს საშინელება ნახა უცხოეთის მრავალმა ჟურნალისტმა, რომელიც იციან ბოლშევიკების მხეცობანი ლემბერგში, რიგაში და სხვ. სოფიევკაში გაიგზავნენ სხვა და სხვა პროფესიის პოლონელი მოქალაქენი ამ საშინელი საფლავის სანახავად.

პოლონელი ოფიცრების ასე მხეცურად დახვრეტა იმის ნათელი მაგალითია, თუ რა მოელის ევროპას იმ შემთხვევაში თუ სისხლიანი ბოლშევიზმი, სტალინის ჯალათთა ავაზაკური ხროვ მოევლინება მას. ამ საშინელი სისხლიანი დიქტატურის დასამხობად იბრძვის დღესგერმანელი ხალხი, რომელიც იცავს ევროპის ხალხებსა და მათ კულტურას ბოლშევკური ჯოჯოხეთისაგან.

## უმაგალითო სივერაგე და ბოროტება

პოლონელმა გენერალმა სკივსკიმ მონაწილეობა მიიღო იმ კომისიაში, რომელმაც დაათვალიერა კატინის ტყე, სადაც ადგილი ჰქონდა პოლონელი ოფიცრების მასობრივად მოკვლას. ,,ყველა მოკლული ოფიცერი, — განაცხადა მან შთაბეჭდილების გადმოცემისას,— წარმოადგენს ბოლშევიკური მკვლელობის ტიპიურ სურათს — კეფაში ნასროლით. მრავალი მათგანი ისევ ხელ-შეკრული იწვა საფლავში. წერილებით, სურათებით და სხვა დოკუმენტების საშუალებით ადვილი იყო მათი გვარებისა და ხარისხების აღდგენა. ყველა დახვრეტილს ზედ ჰქონდა წერილი გოზელსკის მისამართით, რაც გვიჩვენებს იმას, რომ ისინი გადმოყვანილი იყვნენ ტყვეების დიდი ბანაკიდან.

მცხოვრებთა დაკითხვით ირკვევა, რომ პოლონელი ოფიცრების გასამართლება ხდებოდა პულმანის დახურულ რონოდაში. ასეთმა საშინელმა სისხლის ღვრამ მცხოვრებლები პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ხალხი უსაზღვროდ შეშინებულია. მე მომზადებული ვიყავი ყველაფერ საშინელებისათვის სანამ წავიდოდი, მაგრამ ვნახე რა ჩემი თვალით ყველა ეს, იგი აღემატება ყველაფერს, რაც კი აქამდე წარმოდგენილი მქონდა.“

## ბოლშევიზმი არის სისხლი და სიმშილი

საბჭოთა ზურგი სიმშილობს. ერთერთ წერილში, რომელიც გამოგზავნილი იყო ფრონტზე, ვკითხულობთ: „ჩვენს ერთად-ერთ საკვებს შეადგენს კარტოფილი, მაგრამ რა გვეშველება, როცა ისიც დაგველევა. სამუშაოდ ჩვენ არ დავდივართ იმის გამო, რომ შიშველნი ვართ.“ „საკვები ისე ცუდია, რომ თითქმის ყველანი შეგვიპყრო სენმა,— სწერენ მეორე წერილში,— ყველაფერი გაძვირდა, კოლმეურნეობიდან ერთი გირვანქა მარცვლეულიც არ მოუციათ.“ „მთელი ჩვენი სოფელი,— ნათქვამია მესამე წერილში,— ამჟამად სიმშილობს, ვებრძვით სიმშილით სიკვდილს.“ ცხადია, არ ყოფილიყო ბოლშევიკური ცენზურა ამგვარ წერილებზე, მაშინ უფრო ნათელი იქნებოდა საბჭოთა ზურგის ჯოჯოხეთური ცხოვრება. თვითეული ჩვენგანისათვის კი ერთი ცხადია: ბოლშევიზმი — ეს არის სისხლი და სიმშილი.

## 100 ათასი ირანელი ბავშვი ციმბირში

ბოლშევიკებმა ამბოხების ზრდასთან დაკავშირებით აზერბეიჯანის პროვინციებში კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი სისხლიანი ტერორი. აზერბეიჯანის ყველა გამოჩენილი პირი მიუხედავად მათი ასაკისა და ჯანმრთელობისა დაპატიმრებულნი არიან. ბოლშევიკებმა 100 ათასზე მეტი ირანელი ბავშვი ძალით გამოჰგლიჯეს ხელიდან მშობლებს აზერბეიჯანის პროვინციებში და გაგზავნეს ციმბირის ყინულოვან მიდამოებში. მიუხედავად საშინელი ტერორისა, მკვლელობისა და აუტანელი ძალადობისა აზერბეიჯანის ხალხი ებრძვის სისხლის მსმელ ბოლშევიზმს.

# ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიიდან

თითქმის ყველა ჩვენი მწერალ-მოაზროვნე შეეხო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დანგრევის მიზეზებს და თითქმის ყველამ ეს უბედურება გარეშე მტერთა გამანადგურებელი შემოტევით და განსაკუთრებით მონგოლთა ბატონობით აიხსნა.

ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი არ უარყოფს ამ მიზეზს, მაგრამ ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ საკმაო წვლილი შევიტანეთ სამშობლოს დანგრევის საქმეში. გადავფურცლოთ ამ ავტორის „ისტორია ქართლისა, კახეთისა, სამცხისა და იმერეთისა“ და შევეცადოთ პასუხი ვიპოვოთ შემდეგ კითხვაზე: მართლა, როგორც ეს აზრი ჩვენში გაბატონებულია, შესძლეს მონგოლებმა საქართველოს სახელმწიფოს დანგრევა? არა, და ამის საბუთია ალექსანდრე მეფეთა-მეფედ წოდებულის ხანა (1412-1442). გაჰქრა მონგოლთა ხსენება და იღბლათ მთელი ქართველი ერი კვლავ დაირაზმა ერთი მეფის ხელმძღვანელობის ქვეშ, მოთავსდა ერთ მთლიან სახელმწიფოში. კიდევ მეტი, საქართველოს კვლავინდებურად ვასალებად გაუხდენ განჯა, შირვანი და რანი, ხელახლა ჩვენი სახელმწიფო მოექცა სტრატეგიულ საზღვრებში. მეფის ქვეშევრდომთაც ეშველათ, რადგან, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ალექსანდრემ მოუპოვა ყოველთა ქრისტიანთა სიმშვიდე და დასვენება.

მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაუძინებელ მტრად მოევლინენ ჩვენს ქვეყანას, ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე აშენებული, თურქეთის იმპერია და განახლებული სპარსეთი, რომელიც ენერგიული ახალი დინასტიის— საფავიდების მესვეურობით მცირე აზიაში პირველხარისხოვანი როლის თამაშს ლამობდა. ეს ორი ძალა ცდილობდა ჩვენს დამონებას. როცა ისინი შეთანხმებას ახერხებდნენ, ჩვენს ქვეყანას ორ საგავლენო ნაწილად ყოფდენ. და როცა ერთმანეთს ანგარიშს იარაღით უსწორებდენ, ჩვენც გვითრევდენ ბრძოლაში ან და ჩვენს მიდამოებს ბრძოლის ველად იხდიდენ. მაგრამ ჩვენი დამონება მაინც ვერ მოახერხენ შინაგანი არეულობანი, მათ შორის არსებული განუწყვეტელი მეტოქეობა, ჩვენი მოხერხებული პოლიტიკა და ხმალი, ეღობებოდენ წინ მათ განზრახვას.

მიუხედავად ამისა, ჩვენი სამეფო მაინც დაინგრა და მის ნაწილაკებს თავში ჩაუდგენ თბილისის ე. ი. საქართველოს მეთაურობის უარმყოფნი, და ხშირად მტრისაგან ზურგ გამაგრებულნი მთავარნი.

გაჰქრა ერთსულოვნება, ერთი ხელმძღვანელობა, დისციპლინა, გაიმართა ძმათა შორის ბრძოლა და ერთმანეთისადმი შურიანობამ და სიძულვილმა მოიცვა სული მათი.

ჩვენმა ტანჯულმა მეფემ გიორგი მე-8-ე (1442-1469) გასწია თავგანწირული ბრძოლა გარეშე და შინაგან მტრებთან, საქართველოს მთლიანობის გადასარჩენად: კავშირი ბიზანტიასთან და ტრაპეზუნდის იმპერიასთან, დელეგაცია ევროპის სახელმწიფოთა კარებზე, ცდა მშვიდობიანი გზით ქართველ მთავართა შეთანხმებისა, მაგრამ ყველაფერი ეს უნაყოფოდ დარჩა. დამღუპველ ფეოდალიზმს ეღირსა ოქროს ხანა; ყველა თავისი მამულის გადიდებაზე ზრუნავდა და საერთო დიდ სამშობლოს საფლავს უთხრიდა. გიორგი დამარცხდა და მასთან ერთად დამარცხდა დიდი ბრძოლა, ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და მონარქიისათვის გაწეული.

შემდეგი მეფე კონსტანტინე მე-3-ე (1469-1505) შეეცადა მამის მიერ წარმოებული ბრძოლა გაეგრძელებია. მთიულეთში შეკრებილი ჯარებით მან მოახერხა კიდეც დიდი ნაწილი ქართული მიწისა შემოერთებია, მაგრამ ახალი აჯანყება, თითქმის ყოველ დღე, ამა თუ იმ კუთხეში იფეთქებოდა ხოლმე: კახეთი, იმერეთი, სამცხე, სამეგრელო ერთმანეთს ეჯიბრებოდენ სამეფოს დანგრევაში.

1490 წელს თურქების გენერალი ხალილ-ბეგი დიდძალი ჯარით ქართლს შემოესია. „მეფე კონსტანტინემ მიმართა კახელებს, მესხებს და იმერელებს, რომ მას თათართა წინაალმდეგ ბრძოლაში მაინც დახმარებოდენ, მაგრამ მათ სურდათ ქართლის დასუსტება და უარი შეუთვალეს“— ასეთია სამწუხარო მოწმობა ვახუშტისა ამ საბედისწერო ხანის შესახებ; საბოლოოდ გამოირკვა, რომ ქართველ მთავართა შორის მთლიანობის დამყარების და ერთი ქართული პოლიტიკის აღდგენის იმედი სამუდამოდ დასამარებული იყო. ახლობელ მრჩეველთა აზრის თანახმად 1493 წელს სახელმწიფო საბჭო, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ: კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და დიდებულნი, რათა მათ გამოენახათ საშუალება ქართველთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად. საბჭომ აღიარა, რომ ასეთი საშუალება არ არსებობდა, რომ კუთხურმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა და ჩამოშორებულთა ცნობა და მათთან ხელშეკრულების დადება ურჩია მეფეს. უძლური მეფე დაადგა ამ გზას და დასდო „მეგობრობის და მშვიდობიანობის ხელშეკრულებანი კახეთის და იმერეთის მეფეებთან და სამცხე ათაბეგთან და დაიდვა საზღვარი, ამ ოთხ ქართულ ქვეყნის შორის.

ეკლესიაც გაიყო: დაჯდა ერთი კათალიკოსი მცხეთასა შინა და მეორე ბიჭვინთაში (მოწმობა ვახუშტისა).

ამრიგად დაიმარხა საქმე დავით აღმაშენებლისა; საქართველო აღარ იყო ერთი სხეული; იგი შესდგებოდა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ოთხ სამეფოსაგან. ამითაც არ დაკმაყოფილდენ ჩვენი წინაპარნი: შეიქმნენ სვანეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის, ქსანის და არაგვის საკმაოდ მოზრდილი სამთავროები, რომლებიც ოჯახის არევის საქმეში მოზრდილ როლს თამაშობდნენ; და ისე დაინგრა ჩვენი სახელმწიფოებრივი სახეობა, რომ მათ ერთი ხაზი ვერ გამონახეს, ერთმანეთს ხელი ვერ გაუწოდეს.

ვახუშტი გულ დამწვარი სწერს (ჩვენ მის აზრებს ახლანდელ ენით გამოვხატავთ) 1. შეეკითხეთ ქართლელს, იმერელს, მესხს, ჰერეთელს ან კახელს — რა სარწმუნოებას ეკუთვნი შენ? ის მყისვე გიპასუხებს: ქართულს.

2. რომელი ენა იცი შენ? ყველანი გიპასუხებენ — ქართული. ისინი არ იტყვიან სარწმუნოება, დამწერლობა, ენა

(დასასრული მეოთხე გვერდზე)

## ვარდისფერი ქალწული

ცას სიხარული ჯერ არ ენახა
და განთიადი ციდან მოსული, —
როცა ოთახში გამომეცხადა
ქალწული ვარდის ფერით მოსილი;
თვალი ცისფერი ჩუმად ჩამიკრა,
ხელი უთრთოდა იისფერ ლილზე,
თითქოს ოცნებამ თავის ხმალი ძვრა,—
გულდაკოდილი ვუცქერდი იმ მზეს!..
დიდი ხანია აღარ მენახა
მე უცხოეთში იმისი თვალი...
რა სისპეტაკით გამომესახა! —
ამ საოცრების ხილვით ვარ მთვრალი!..
რა სიხარხარე და სიმჩქეფრეა!..
რა იდუმალი, ღვთიური სული!..
რა სიკეკლუცე და სიცელქეა!..
რა მღელვარება ნატიფი გულის!..
მითხარ: უხმოდ რად გამომესახე?!.
მიცქერი შორით და არას ამბობ!..
ნუთუ იმიტომ გამომეცხადე,
რომ გული ისევ მომიკლა ვარდი!..
სიტყვები მინდა ბევრის მსურველი,—
წარსული ტრფობა მომიყვე ვინძლო,
რომ გული ისევ მომიკლა ვარდო!..
აქ უცხოეთის მიწამაც იგრძნოს...
დაბრუნებული ლალი გულისა
მოგიტან ლექსებს — ვარდებში ნაბანს,
გაიწმინდება დაღრუბლული ცა,
სახეს ოქროსფერ სხივებში დაგბან!..
მზეო ქალწულო, ვარდის ფერისა,
ხარ იდუმალი ფიქრები ჩემი,
ღრუბლებს აშორდა შენი ფერის ცა —
სიხარულის და სიცოცხლის მჩენი...
მო, ნუ წამიხვალ — აქ დარჩი ჩემთან,
გაიზიარე სიშორის დარდი!..
მე ყველას ვეტყვი, რომ აქ დღეიდან
ჩემთან იქნები ქალწული ვარდი!..
გულს მეტი ცეცხლი შეემატება
და გადაყრება ფიქრების ნისლი
აქ მეყოლები, როგორც ხატება,
როგორც გული და ნათელი მზისი!..

**ლეგ. ვ. ურდოელი**

**ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი შეიცავს 4 გვერდს. გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა კვირას, 9 მაისს, ჩვეულებრივი ზომით.**



კარელიის ყელზე. ახალი პოზიციისაკენ

## წერილი ლეგიონერ პროპაგანდისტებს

გულთბილი სალამი ლეგიონერებს, რომლებიც სწავლობდნენ პოტსდამის კურსებზე და მათ, რომელთაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ ჩემთან. დროის უქონლობის გამო მე მსურს თქვენი გაზეთის საშუალებით გიპასუხოთ.

ლეგიონერებო! რამდენიმე თვის განმავლობაში თქვენ ბევრი რამ ნახეთ. ამ წერილში მინდა მოგაგონოთ დაუვიწყარი ფაქტები და მნიშვნელოვანი ადგილები. თქვენ ალბად გახსოვთ მშვენიერი ქალაქი დრეზდენი, მისი წარმტაცი მიდამოები მდინარე ელბას სანაპიროებში. თქვენ ნახეთ ქალაქი ვენა მილიონიანი მოსახლით, მრავალი სამრეწველო ცენტრი სამხრეთ-გერმანიაში. ექსკურსიისას გაეცანით ბავარიის ქალაქს მიუნხენს ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ამ აკვანს, ინახულეთ მაღალი ალპები, რომელთა კალთებზე გაშენებულია კურორტები: გარმიშ-პარტენკირხენი, ბერტეხსბადენი, ზალცბურგი და რეიჰენგელი.

გახსოვთ ალბად ნიურნბერგი — ეს უძველესი ქალაქი, სადაც მიმდინარეობენ პარტიული ყრილობები, ქალაქი როტენბურგი, რომელიც მდებარეობს მაღალი მთების კალთებზე და ვირცბურგი— მევენახეობის ადგილი. კარგად გახსოვთ ალბად დარმშტადტის მიდამოები, ლამაზი ოდენვალდი, რომელიც ასე წააგავს კავკასიას.

ჩვენ დავესწარით დოლს ქალაქ ფრანკფურტში მაინზე და ბერლინში, ვინახულეთ ეიზენახი თავისი განთქმული ციხე - სიმაგრით ვარტბურგით, სადაც ლუტერმა ოდესღაც სამელნე მიახალა ეშმაკს, რომელიც მას მოევლინა. მოგონეთ ქალაქი ვეიმარი, სადაც ამ 150 წლის წინად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი გერმანელი პოეტები გოეთე და შილლერი.

ჩვენ დავათვალიერეთ აგრეთვე ჭარხლის მინდვრები მაგდებურგთან, ვნახეთ ბერლინის ჩრდილოეთით გიგანტური ნაგებობანი, რომლებიც სწევენ გემებს, გავერთვეთ ბერლინის შესანიშნავ ზოოლოგიურ ბაღში. წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე სან-სუსის მშვენიერმა ბაღმა პოტსდამში.

ყურადღებითა და გულმოდგინე დაძაბულობით ვეცნობოდით ელექტრო-ლამპების წარმოებას ბერლინში და მედიკამენტების საწარმოოს დარმშტადტში. კურსებზე ყოფნისას თქვენ გულდასმით გაეცანით მოზარდი თაობის აღზრდის ორგანიზაციას გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებში, გაეცანით მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, გლეხის ცხოვრებას, დაათვალიერეთ ყაზარმები, საავადმყოფოები, ქალაქის მნიშვნელოვანი დაწესებულებანი. ვესტუმრეთ სასპორტო მოედნებს, ვნახეთ პოტსდამის, ბერლინისა და დარმშტადტის საბანაო აუზები.

არ დაგვავიწყებია მუზეუმებიც, ვნახეთ სამხედრო ტროფეების მუზეუმები მიუნხენში, ბერლინში და ერბახში.

ლეგიონერებო! თქვენ თვითონ თქვენი თვალით ნახეთ და დარწმუნდით იმაში, რომ მიუხედავად ომის პირობებისა გერმანელი ხალხის ცხოვრება მიმდინარეობს ნორმალურად. ქუჩებზე და მიწისქვეშა მატარებლებში თქვენ ხვდებოდით ადამიანებს მოღიმარი სახით, კარგად ჩაცმულთ და რწმენით აღსავსეებს. თქვენ იყავით ბერლინის, ვენის, მიუნხენის, დარმშტადტის, ფრანკფურტის, ვეიმარის და ჰანოვერის თეატრებში, ბერლინისა და დრეზდენის ცირკში.

თქვენ როგორც მოწინავე პროპაგანდისტებს ბედნიერება ჰქონდათ გაგეცნოთ მთელი გერმანიის ცხოვრება, გაგეცნოთ გერმანელი ხალხისა და გერმანელი ჯარისკაცის ცხოვრება. გისურვებთ წარმატებას თქვენს მუშაობაში! არ დაივიწყოთ გერმანელი ჯარის აღზრდის მთავარი წესი, რომელზედაც მე ხშირად მისაუბრნია თქვენთან. ეს არის: წესრიგი, სისუფთავე და დისციპლინა სამსახურში, დასვენების დროს მხიარულება და ყოველთვის სამართლიანობა.

**ჩემი თანამშრომლების ზონდეფიურერთა სახელით: ობერლეიტენანტი ფონ-ნეიენკირხენი.**

# საინტერესო ცნობები

## იტალიის მოსახლეობა

ამ რამდენიმე ხნის წინად გამოქვეყნებული იყო სტატისტიკური მონაცემები იტალიის მოსახლეობის შესახებ. 1942 წლის დასასრულისათვის ამ მონაცემების მიხედვით იტალიაში ითვლებოდა 45.564 ათასი მცხოვრები. 1942 წლის დეკემბერში ადგილი ჰქონდა დაქორწინების 21.603 შემთხვევას, დაიბადა 69.925 ბავშვი და გარდაიცვალა 60.529 კაცი. 31 დეკემბრისათვის იტალიის დედაქალაქში, რომში, იყო 1.472 ათასი მცხოვრები.

## სპორტიული რეკორდები

მსუბუქი მძლეოსნობის საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა ახალი სპორტული რეკორდების შედეგები, რომელიც მიღწეულნი არიან 1942 წელს. პირველ ადგილზეა შვეცია, რომლის სპორტსმენებს ეკუთვნით 21 ახალი რეკორდი. 11 რეკორდი მიღწეულია ცნობილი სპორტსმენის გუნტერ ხეგის მიერ.

## ხელოვნური სისხლი

წლების მანძილზე წარმოებული ცდების შედეგად გერმანელმა პროფესორმა დოქტორ ლამპერტმა სინთეტიკური გზით მიიღო ხელოვნური სისხლი. ეს სისხლი შეიძლება შეინახოს, როგორც მყარ, ისე თხევად მდგომარეობაში. გერმანიის არმიის მრავალ დაჭრილ მებრძოლს ამ სისხლის გადასხმით მიეცა საშუალება შეენარჩუნებინა თავისი სიცოცხლე.

## ფარფორი სპილენძისა და რკინის მაგივრად

კიოტოში (იაპონია) სპეციალურ ლაბორატორიაში სწარმოებდა ცდები დიდი გამძლეობის ფარფორის მიღებისათვის. უკანასკნელ ხანში ეს ცდები შედეგიანად დამთავრდა. ნაპოვნია ფარფორის ხარისხი, რომელსაც შეუძლია, ზოგიერთ შემთხვევაში, შესცვალა სპილენძი და რკინა. გამოგონება უკვე გამოყენებულია პრაქტიკაში. იაპონიის სამინისტრომ ამ ფარფორისაგან დასამზადებლად შეუკვეთა საფოსტო ყუთები, ტელეფონები და მანქანათა ზოგიერთი ნაწილები.



## ახალი გერმანული ტანკი „ტიგრი“

გერმანიის ახალი ტიპის ტანკი „ტიგრი“ პირველად იქნა გამოყენებული აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე წლის დასაწყისში ხარკოვისათვის ბრძოლაში. „ტიგრი“ შექმნილია არა მარტო თანამედროვე ახალი სამეცნიერო - ტექნიკური გამოგონებათა საფუძველზე, არამედ აგრეთვე იმ მდიდარი საბრძოლო გამოცდილებაზე, რომელიც გერმანიის სატანკო ნაწილებმა მიიღეს საბჭოთა და ინგლის-ამერიკელთა ტანკების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ტიგრი“ აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და აკმაყოფილებს უკანასკნელ საბრძოლო მოთხოვნილებებს, თავისი სიძლიერით იგი აჭარბებს მტრის ყველა სახის ტანკს.

ახალი ტიპის გერმანულ ტანკს აქვს სიგრძე 7 მეტრი, სიგანე — 3 მეტრი. წონა აჭარბებს 50 ტონას, საწვავის მარაგი 600 ლიტრია, ხოლო მოქმედების რადიუსი — კილომეტრი. მიუხედავად მძიმე წონისა „ტიგრი“ ანვითარებს დიდ სისწრაფესა და მოქნილობას. ტანკის მართვა არ მოითხოვს დიდი ძალის დახარჯვას,. მის ასამოძრავებლად საკმარისია ორი თითის ძალა. სროლის დროს სპეციალური ხელსაწყო ტანკის შიგნით სპობს მაღალ ტემპერატურას.

„ტიგრის“ შეიარაღება შესდგება შორსმსროლელი ჯავშანმჭრელი ქვემეხისაგან, რომლის სროლის მანძილი აჭარბებს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა სროლის მანძილს. სროლა მოძრაობისას კი ზუსტია. ტანკის ჯავშანი წარმოადგენს მაღალხარისხოვანი ფოლადის რამდენიმე ფენას. 10,5 სანტიმეტრის კალიბრის მქონე ქვემეხი ჯავშანს ზიანს ვერ აყენებს, მის წინ აფეთქებულ ტანკსაწინააღმდეგო მინას არ შეუძლია შეაჩეროს ტანკის მოძრაობა.

„ტიგრი“ თავისი მძიმე წონის გამო სჟლეტს მტრის ტანკებსა და ქვემეხებს. პირველი გამოცდისას მან იოლად გადაამტვრია მუხა, რომლის დიამეტრი 1 მეტრზე მეტი იყო და ძალადაუტანებლად განაგრძო სვლა, გადალახა რა ორსართულიანი სახლი. მძიმე საბჭოთა ტანკები „კვ-1“, „კვ-2“ და „ტ-34“ უძლურნი არიან „ტიგრთან“ ბრძოლაში. ლადოგის ტბასთან გერმანელების „ტიგრებმა“ დანაკარგის გარეშე თავის მხრივ მოსპეს საბჭოთა 128 ტანკი. ტუნისში წარმოებული სამხედრო ოპერაციებისას „ტიგრის“ უპირატესობა გამჟვინვარდა აგრეთვე ინგლისელთა და ამერიკელთა ტანკების მიმართაც.

„ტიგრის“ ტაქტიკური ამოცანაა დაიცვას და დაეხმაროს შედარებით მცირე წონის ტანკებს, იგი თამაშობს უძლეველი ჯავშნიანი საფარის როლს; ეს ახალი ტიპის ტანკი გამოცდილი გერმანელი ტანკისტების ხელში წარმოადგენს მტრის გამანადგურებელ ძლიერს საბრძოლო იარაღს.

# გასართობი

## სვლა ცხენისაა




ამ 34 კვადრატში განლაგებული მარცვლები და ასოები დაფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე, რომ მიიღოთ თქმულება ლაშა გიორგის აღზრდის შესახებ.

## შეადგინეთ სიტყვები №7

ქვემოდ მოთავსებული მარცვლებისა და ასოებისაგან:
ა ა ა პი დი დო სი სო სა სი სი ლე ლი ლონ ლი ლი მუ მარ მი რა რის რი რე რა რი ნი ნი ნი ნი ე ჰა ჩარდ პო პრუ ხნი ხი ზი ყვა ტიგრ ტე ფუ ფუ ჯექ ჯა შვი თი

შეადგინეთ სიტყვები შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. ძველი საბერძნეთის ფილოსოფი, 2. ისტორიული რომანის მამამთავარი ინგლისში, 3. ბაბილონის მეფე, 4. რით ხნავენ?, 5. მხატვრული შემოქმედების სახე, 6. სოფელი საქართველოში, 7. ახალი გერმანული ტანკი, 8. გერმანელი მხატვარი, 9. კინო-ფაბრიკა იტალიაში, 10. „მგლების“ ავტორი, 11. ქართული თეატრის რეფორმატორი, 12. კუთხე გერმანიაში, 13. საზამთრო, 14. ფოთის ძველი სახელი, 15. მითოლოგიური ქართველი გმირი.

## გაზეთ „საქართველო“-ს №12 მოთავსებული ამოცანების ახსნა

### ცხენის სვლა

„მყუდროებაა, შორი-შორს
ისმის ყიჟინი ჭოტისა,
ხარებს ალვიძებს ურმული
და ტყლაშა-ტყლუში შოლტისა“.

### შეადგინეთ სიტყვები №6

1. იუპიტერი, 2. ვიქტორ ჰიუგო, 3. ჩაიკოვსკი, 4. ლონდონი, 5. არაგვი, 7. ალკაზარ. 8. კალათბურთი, 9. პასპორტი, 10. ბალი, 11. გული, 12. ივანე, 13. ოპერა, 14. ასტრონომია, 15. ოლიმპიის სტადიონი.

## ცვლილებანი იაპონიის კაბინეთის შემადგენლობაში

იაპონიის კაბინეთის შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებანი: საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა შიგემიცუ, შინაგან საქმეთა მინისტრად— გენერალ - ლეიტენანტი ანდო კისაბურო, მიწადმოქმედების — აიმაზაკი ტატსუნოსუკე. მთავრობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარედ დანიშნულია ეიი ამაუ.

# ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიიდან

(დასასრული)

იმერული, ქართლურ, კახური, მესხური, ჰერეთული, არამედ — ქართული.

3. ვერ ნახავთ ვერც ერთ დიდ შენობას, ვერც ერთ ეკლესიას, ვერც ერთ მონასტერს, ხატს, ძვირფას ჯვარს რომელზედაც აღნიშნული იყოს უცხო მეფის გვარი, არამედ ყველანი შეიცავენ ასეთ წინადადებას: ჩვენ, მეფე საქართველოისა.

ეს წინადადებები ნათელ-ყოფენ მთავარ აზრს, — გაუნათლებელმა გლეხმაც კი იცის სიმღერები გურგასლანის, დავით აღმაშენებელის და თამარ მეფისა (ვახუშტი. ისტორიის შესავალი). მთელი ეს აზროვნება სრულ ჭეშმარიტებას შეადგენს. მხცოვანი მეცნიერი ნათლად გვიხატავს მე-15-ტე საუკუნის ვითარებას.

დაინგრა ჩვენი სახელმწიფო და ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მტრები თავს გვესხმოდენ, არამედ და ამას დაბეჯითებით და ხაზგასმით იმეორებს ისტორიკოსი იმიტომაც, რომ ჩვენ თვითონ ვითამაშეთ სამარცხვინო როლი: ჩვენში მეფობდა ერთმანეთისადმი შური, მეტოქეობა და ინტრიგანობა და მთვრალი ვიყავით უზომო პატივ-მოყვარეობით.

1918 წელს ხელ-ახლა შეიქმნა ქართული სახელმწიფო. ამ დიდი ეროვნული მოვლენის სიდიადე მარტო იმაში კი არ იყო, რომ ხელ-ახლა ქართული დროშა აფრიალდა. ჩვენი დიდი გამარჯვება იმაში გამოიხატა, რომ კუთხური პატრიოტიზმი დასაფლავებული იყო. ას წლოვან რუსულ ბატონობისაგან საქართველო მთლიანი და ჯანსაღი გამოვიდა.

ჩვენ გვყავდა, მართალია, პოლიტიკური პარტიები. იმათში იყო დარაზმული მოწინავე ქართველობა, რომელსაც მიჰყვებოდა ჩვენი ხალხი, მაგრამ ასეთ დარაზმულობათა არსებობა ჩვენს სახელმწიფოებრივობას საფრთხეს არ უმზადებდა. ყველანი, როგორც ერთი, გადაჭრით იდგენ საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

ეს დიდი ღირსება ძალაში დარჩა ჩვენში წითელი ურდოების გაბატონების შემდეგ; ქართულ პარტიათა შორის ბრძოლის ყოველი ნიშანი მოისპო და ქართველ ხალხს, 1921 წლიდანვე, მეთაურად გაუჩნდა ერთი დიდი ორგანო: დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელშიც ყველა ძალის წარმომადგენელი შედიოდა და რომელმაც მოახერხა ქართული დროშა ღირსეულად დაეცვა.

დღეს, უცხოეთში მყოფ ქართველობას რაღა ემართება? დაუსვათ ჩვენ თავს ვახუშტის მიერ 4 საუკუნის წინათ ქართველთათვის დასმული კითხვები. ჩვენ მხოლოდ ერთი პასუხი შეგვიძლია გავცეთ: ვართ ქართველნი, გვწამს საქართველო, ვიტანჯებით ერთი და იმავე უბედურებით. ახალი კითხვაც დავსვათ: რას ვესწრაფვით ჩვენ? ჩვენ ყველანი ვესწრაფვით დამოუკიდებელ საქართველოს და მზად ვართ ამ მიზანს მთელი არსებით ვემსახუროთ.

და თუ ეს პასუხი გულწრფელია და ჩვენი გულის სიღრმიდან ამოდის, როგორ მოხდა, რომ დღემდის ერთი სამოქმედო და მტკიცე ხაზი არ გვაქვს. ეროვნულ დისციპლინას გავურბივართ, ერთი ხელმძღვანელი, ჩვენივე შეთანხმებით, შემდგარი, ორგანო არ გაგვაჩნია?

ნუ თუ დღევანდელ ქართველობასაც ვახუშტის მიერ დასახელებული სხეულებანი: ინტრიგანობა, უზომო თავ-მოყვარეობა, საზიზღარი შურიანობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი?

ნუთუ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი უსაშინელესი მდგომარეობა, დროებით მაინც, არ გაგვანთავისუფლებს საზიზღარი სნეულებათაგან?

ნუ თუ ისე დავეცით, რომ ეროვნული დანაშაულის გრძნობა ჩვენში სავსებით გაჰქრა?

მ. ტ.


პასუხისმგებელი რედაქტორი
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W35. Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი.